ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2729876

ნომერი: AR1423154

თარიღი : 15.07.2016

გაცემის თარიღი : 22.07.2016

გაცნობის თარიღი : 09.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175); ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175); ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ოხანაშვილი პ/ნ 01030043420
- თბილისი ს.ქურდიანის ქ. N 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/05/2016 წლის №2582991 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

15/07/2016 წლის №AR1423154 განაცხადით მომართა ზაზა ოხანაშვილმა და ამავე სამსახურის 06/05/2016 წლის №2582991 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 06/05/2016 წლის №2582991 ბრძანებით ქ. თბილისში, თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175), შპს „ენჯი და კომპანიის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.201; №01.12.21.001.200; №01.12.21.001.179) შეთანხმდა არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (სასტუმრო, რესტორანი, კაფე, გამაჯანსაღებელი ცენტრი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო ამავე სამსახურის 21/06/2016 წლის №2659790 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა 2016 წლის 21 ივნისიდან 2017 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით განისაზღვრა.
განმცხადებელი ითხოვს 06/05/2016 წლის №2582991 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო, დამხმარე, სასტუმროს ნომრებისა და საერთო ფართობის მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობის (კვ.მ).:2537.669; დახმარე ფართობის (კვ.მ).:2290.52; სასტუმროს ნომრების ფართობის (კვ.მ).:6556.169; საერთო ფართობის (კვ.მ).:14874,548 დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და სამშენებლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/05/2016 წლის №2582991 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:2537.669; დახმარე ფართობი (კვ.მ).:2290.52; სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ).:6556.169; საერთო ფართობი (კვ.მ).:14874,548; სამსახურის 06/05/2016 წლის №2582991 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/05/2016 წლის №2582991 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.